

აბიტურიენტთა შერჩევა პოლიციის აკადემიებში

როსტომ ხომერიკი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ძალოვანი სტრუქტურების აკადემიებში წარმოებს ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სპორტული ტესტირება. აბიტურიენტთა ფსიქო-სამედიცინო შერჩევა არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია დააკომპლექტოს აკადემია კურსსანტებით, რომლებიც დაძლევენ სასწავლო პროგრამას და მიაღწევენ წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში. შერჩევის ძირითადი იდეაა დაადგინოს აბიტურიენტთა ვარგისიანობა იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელიც გააჩნია გამოსაშვები კურსის კურსანტებს სწავლის შედეგებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე ჩატარდა ექსპერიმენტი. მიზანს წარმოადგენდა ჩატარებულიყო ფსიქო-სამედიცინო ტესტების საშუალებით კურსანტის აკადემიური მოსწრების პროგნოზირება. ფსიქოლოგიური ტესტი შედეგობდა სამი ძირითადი ნაწილისაგან: ვერბალური, მათემატიკურ-ლოგიკური და მხედველობითი. სამედიცინო ტესტი ეფუძნებოდა ჰემოდინამიკური მონაცემების ანალიზს, გამძლეობის კოეფიციენტს და ვეგეტატიური ნერვული სისტემის კოეფიციენტს. ყოველი კურსანტისათვის გამოითვალა საშუალო შეფასება და ფსიქოლოგიური და სამედიცინო ტესტების მიხედვით განისაზღვრა რეგრესია შემდგომი პროგნოზირებისათვის. კორელაცია პროგნოზირებულ შედეგებს შორის გვიჩვენებს, რომ პროგნოზირება მოხდა მაღალი სიზუსტით.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური ტესტი, სამედიცინო ტესტი, კორელაცია, რეგრესია, პროგნოზირება, პოლიციის აკადემია.

სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესებულნი არიან, რომ სამსახურში მიიღონ პროფესიული ცოდნის, უნარის და ჩვევების მქონე ახალგაზრდები, რომელთა მომზადება წარმოებს სპეციალიზირებულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. მათი დონე დამოკიდებულია არა მარტო სასწავლო პროცესის ეფექტური დაგეგმვისაგან, არამედ საგანმანათლებელ სასწავლებლის მსმენელთა დაკომპლექტების ხარისხისაგან. ზოგადად, აბიტურიენტთა შერჩევა ტარდება ოთხ ძირითად თანამიმდევრულ ეტაპად: სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ფიზიკური და საკონკურსო-საგამოცდო. სამედიცინო შერჩევა ძირითადად გულისხმობს ფსიქიატრიულ შემოწმებას, რადგან მცირე ფსიქიური გადახრებიც კი პოლიციელისათვის დაუშვებელია და წარმოადგენს დიდ სოციალურ საშიშროებას. გარდა ამისა, პოლიციელისათვის დაუშვებელია მთელი რიგი დაავადებები, რომლებიც განსაზღვრულია სპეციალური ნუსხით. ფსიქოლოგიური დაფიზიკური შემოწმება წარმოებს სპეციალური ტესტებით, რომელთა მიზანია გამოაშკარაოს ფსიქო-ფიზიკური მონაცემები: გულ-სისძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობა, გამძლეობა, ყურადღება, მეხსიერება, აღქმა, აზროვნება, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი და ა.შ. სამწუხაროდ ეს საკითხები ბოლომდე არ არის შესწავლილი და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო არის მცდელობა შეავსოს ეს ხარვეზები.

მსმენელთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს სწავლას პოლიციის სასწავლებელში ძირითადად იმიტომ, რომ ხშირია დისციპლინის დარღვევა, სისტემატიური დაუმორჩილებლობა, ლოთობა და ნარკომანია, რაც მეტყველებს მყარ უარყოფით პიროვნულ თვისებებზე. შედეგ მოდის აკადემიური ჩამორჩენა და, ბოლოს, ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამიტომ ფსიქოსამედიცინო კვლევისათვის და შერჩევისათვის აუცილებელია სამართლებრივი ბაზა და წარმოადგენს სახელმწიფოს ზრუნვის საგანს.

აბიტურიენტების შერჩევის ძირითად ამოცანას შეადგენს:

- კანდიდატის სწავლისათვის ვარგისიანობის დადგენა;
- შერჩევის სრულყოფა კურსანტებზე სასწავლო პროცესში დაკვირვებათა ანალიზის საფუძველზე.

ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენს 18-22 წლის ახალგაზრდის წარმატებული პროფესიული საქმიანობის პროგნოზირება, რომელსაც წინ გასავლელი აქვს სწავლების უჩვეულო და რთული კურსი. ამ პერიოდში ხდება ფიზიკური ზრდა, შეხედულებათა და ინტერესთა ცვლა, იკვთება მიდრეკილებები. ამის წინასწარ განჭვრეტა, რომელიც პროფესიონალური წარმატების საწინდარია, ფაქტიურად გადაუწყვეტელი ამოცანაა. ამიტომ სწავლის პერიოდში უნდა წარმოებდეს კურსანტის მუდმივი ფსიქოლოგიური და სამედიცინო შემოწმება. შერჩევის ეფექტურობის დასადგენად საჭიროა მოხდეს კორელაციური შეფასება ერთი მხრივ ფსიქი-სამედიცინო მონაცემებს და მეორე მხრივ აკადემიურ მოსწრებას შორის. ფსიქოლოგიური ტესტები შეისწავლიან: ვერბალურ მიდრეკილებას, აბსტრაქციის აღქმის უნარს, კომბინატორულ მონაცემებს, მსჯელობას, ლოგიკური აზროვნების, სივრცის ხედვის უნარს, აზროვნების სისწრაფე და ა.შ. გარდა ამისა პოლიციელის პროფესიიდან გამომდინარე საჭიროა ტესტირება: ფიზიკური მდგომარეობის, გამძლეობის, ვეგეტატიური ნერვული სისტემის მდგომარეობის, სისხლის მიმოქცევის ეკონომიურობის, საშუალო დინამიკური წნევის და ა.შ.

სწავლის შესაძლებლობის უნარის დასადგენი მოდელის შესაქმნელად პოლიციის აკადემიის კურსანტებზე ჩატარდა გამოკვლევა სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში. რეგრესიული ანალიზის საშუალებით მიღებულია პროგნოზირების ფუნქცია. მთავარი ყურადღება ექცეოდა მოდელის სიმარტივეს და ამავე დროს სიზუსტეს. მოდელი დამოკიდებულია კურსანტის ბუნებრივ მონაცემებზე და მათი გაყალბება შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია ტესტისთვის წინასწარ მომზადება. ტესტი ითვალისწინებს ინტელექტის დონის, სომატიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, დამოუკიდებლობას, სწრაფი და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების უნარს. ყველა ამ თვისებებს აკადემიურ მოსწრებასთან ჰქონდათ მაღალი კორელაციები.

მოდელში შედის აბიტურიენტის ბუნებრივი მონაცემები და არ არის დამოკიდებული მისაღები გამოცდების და გასაუბრების შედეგებზე, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინათ წინასწარი შეფასება.

მოდელის გამოყვევების და შეფასების შედეგად გვაქვს გარანტია, რომ სპორტული მონაცემების შემოწმებისას არ მოხდება რაიმე გართლება აბიტურიენტის ფიზიკური მზადყოფნის თვალსაზრისით. მოდელსი გათვალისწინებულია რეგიონალური ფსიქოლოგიური და ბუნებრივი პირობები, რადგან ცხადია, რომ ზანგის და ესკიმოსის პარამეტრები განსხვავებულია და მათი ერთიანი ტესტით შემოწმება არ არის მიზანშეწონილი.

როგორც აღვნიშნეთ ძალოვან სტრუქტურათა უმაღლეს სასწავლებლებში დამატებით ტარდება აბიტურიენტთა ტესტირება ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სპორტული ტესტების მიხედვით. სწავლების პროფესიული სპეციფიკისა და შემდგომი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქო-სამედიცინო ტესტირებას.

კანდიდატთა ფსიქო-სამედიცინო შრჩევა არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც გულისხმობს მსმენელებით(კურსანტებით) სასწავლო დაწესებულებათა დაკომპლექტებას სწავლებისა და შემდგომი პროფესიული საქმიანობის მოთხოვნათა შესაბამისად. კანდიდატთა შერჩევის ძირითადი ამოცანებია, პირველ რიგში, იმის დადგენა არის თუ არა კანდიდატი სწავლებისათვის ვარგისი, და მეორე, შერჩევის სრულყოფა სწავლების შედეგებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი პროფესიული საქმიანობის ანალიზის შდეგად.

როგორც პოლიციის სისტემაში კადრების დენადობის პროცესის კვლევა გვიჩვენებს, თანამშრომელთა მხოლოდ ერთ მესამედს აქვს თავისი საქმიანობის გაგრძელების მკაფიოდ გამოხატული სურვილი. ერთ მეხუთედში აღინიშნება პროფესიული არჩევანის მართებულობაში დაეჭვების საწყისი ნიშნები. ამდენივე აღიარებს, რომ პროფესიის არჩევაში შეცდა. ყოველ მერვეს მტკიცედ აქვს განზრახული, შეიცვალოს საქმიანობა. ამგვარად, სერიოზული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოდ, რომ თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის კმაყოფილი პროფესიული საქმიანობით ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამო. [1] ეს, უპირველეს ყოვლისა, ხდება იმიტომ, რომ პოლიციის რიგებში შემსვლელელებმა არ იციან იმ ამოცანების, მიზნების, საშუალებების, პირობების, ნერვიულ-ფსიქიკური დაძაბულობის, აუცილებელი თვისებების, უნარებისა და ფსიქოლოგიური უკუჩვენებების შესახებ, რაც პოლიციის საქმიანობისათვის არის დამახასიათებელი. [2] გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ იმ დახასიათებათა შორის, რომლებსაც სტატისტიკურად უტყუარი კავშირი აქვს პროფესიულ წარმატებასთან, პირველ ადგილზეა ინტელექტუალური და ზოგიერთი პიროვნული თვისება. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ პროფშერჩევისას MMPI და CPI უფრო უკეთესად ახდენს პროგნოზირებას, ვიდრე სელექციური ინტერვიუ. [3,4]

სამედიცინო თვალსაზრისით, როგორც არტერიული პულსის ფენომენს, ასევე წნევის ზოგადად დონესა და მის მერყეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ზოგადად, სისხლის მიმოქცევის აპარატის ფუნქციური მდგომარეობისა და კერძოდ, ტვინის მუშაობის შეფასებისათვის.

სისხლძარღვთა სისტემაში სისხლის ცვალებადი წნევა მთელ რიგ ფაქტორთა რთულ ურთიერთქმედებას წარმოადგენს. სისხლის წნევის ზოგად დონეს, ძირითადად, განაპირობებს: სისხლძარღვთა სისტემაში დროის ერთეულში მოქცეული სისხლის რაოდენობა; პერიფერიებისაკენ უკუდენის ინტენსივობა; სისხლძარღვის კალაპოტის ტავადობა; სისხლძარღვის კალაპოტის კედლების დრეკადი წინააღმდეგობა; სისტოლის პერიოდში სისხლის მიწოდების სიჩქარე; სისხლის სიბლანტე; სისტოლისა და დიასტოლის პერიოდების შეფარდება; გულის შეკუმშვათა სიხშირე. მედიცინაში ფართოდ გამოიყენება სისხლის წნევის განსაზღვრა დიაგნოსტიკური მიზნით და სისხლის მიმოქცევის აპარატის მდგომარეობის შეფასებისათვის. [5]

საქართველოს შსს აკადემიის ბაზაზე ჩატარებული იქნა შემდეგი ექსპერიმენტი.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვექმნა ფსიქო-სამედიცინო ტესტი, რომელიც მოგვეცემა საშუალებას მოგვეხდინა სასწავლო პროცესში კურსანტის აკადემიური მოსწრების პროგნოზირებას. ამ მიზნით გაანალიზდა 46 ცნობილი ტესტი

(აიზენკი, სონდი, თელორი, ბერეზინი, ლევი, ვანდერლინკი, რავენი, ლუშერი, კეტელი და ა.შ.) . ტესტი შეიცავს სამ ძირითად განყოფილებას: ვერბალური, მათემატიკურ-ლოგიკურ და სახეობათა გამოცნობის. გათვალისწინებულ იქნა, რომ კოგნიტიური მონაცემების შესწავლის ფსიქოლოგიური მეთოდები (ინტეოლექტი და მასთან დაკავშირებული ფაქტორები) გვამღებენ შეფასების ფურო მაღალ ვალიდურობას ($r=0.45$), ვიდრე პიოვნული ტესტები ($r=0.15$), რეკომენდაციები ($r=0.18$), პროფესიული ცდები ($r=0.30$), ბიოგრაფიული კითხვარები ($r=0.37$), სტაჟირება ($r=0.44$).

სამედიცინო ტესტი აგებული იყო ჰომედიინამიკური მონაცემების ანალიზზე. ფიზიკური მდგომარეობის დონე გამოითვლება ფორმულით:

$$\text{ფდმ} = (700 - 3\text{გშს} - 2,5(\text{დწ} + (\text{სწ} - \text{დწ})/3) - 2,7\text{წლ} + 0,28\text{წონა}) / (350 - 2,6\text{წლ} + 0,21\text{სიმ}),$$

სადაც გშს - გულის შეკუმშვის სიხშირეა, დწ - დიასტოლური წნევა, სწ - სისტოლური წნევა, წლ - წლოვანება, სიმ. - სიმაღლე.

მიღებული კოეფიციენტი წარმოადგენს ადამიანის ჰემოდიინამიკურ მახასიათებელს. ჰემოდიინამიკური მონაცემებით, ექსპერიმენტალური კგუფის ვალიდურობის შემოწმების მიზნით, განისაზღვრა გამძლეობის კოეფიციენტი (ქვასის კოეფიციენტი).

$$\text{გკ} = \text{გგშს}10 / (\text{სწ} - \text{დწ})$$

და ვეგეტატიური ნერვული სისტემის კოეფიციენტი (ქერდის კოეფიციენტი).

$$\text{ვსკ} = (1 - \text{დწ} / \text{გშს})100$$

რომელთა სტატისტიკური საშუალო ყველა ცისპირისათვის უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა თეორიული მნიშვნელობისაგან.

ფსიქო და სამედიცინო ტესტებით შემოწმებული იქნა 151 კურსანტი, ძირითადად, მესამე კურსელები. ყოველი მათგანისთვის გამოითვალა საშუალო შეფასება (G), ხოლო ფსიქოლოგიური ტესტი (F) და სამედიცინო ტესტი (E), მოხდა რეგრესიის განსაზღვრა შემდგომი პროგნოზირებისთვის. შედეგებს აქვთ შემდეგი სახე:

კორელაციები

$$F \leftrightarrow G \text{ ფსიქო} \leftrightarrow \text{საშუალო } r_{FG} = 0,77$$

$$G \leftrightarrow E \text{ საშუალო} \leftrightarrow \text{სამედიცინო } r_{GE} = 0,26$$

$$F \leftrightarrow E \text{ ფსიქო} \leftrightarrow \text{სამედიცინო } r_{FE} = 0,28.$$

სტატისტიკური საშუალოები: საშუალო $\underline{G}=3,58$, ფსიქო $\underline{F}=0,36$, სამედიცინო $\underline{E}=0,65$, ქვასის $\underline{C}=15,93$, კედრო $\underline{K}=2,29$ სტანდარტული გადახრები: საშუალო $SG=0,81$, ფსიქო $SF=0,23$, სამედიცინო $SE=0,11$.

პროგნოზირების ფორმულამ მიიღო შემდეგი სახე

$$G = 2,68F + 0,4E + 2,37.$$

როგორც პროგნოზირებულ და რეალურ შედეგებს შორის კოლერაციამ გვიჩვენა, პროგნოზირება განხორციელდა საკმაოდ მაღალი სიზუსტით. ეს გვამღებს საშუალებას მოვახდინოთ აბიტურიენტის შემდგომი პიროვნების პროფესიული წარმატებისთვის.

ექსპერიმენტის მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩათვალოს ადამიანის აზროვნების აშკარა კავშირი მის ჰემოდიინამიკურ პარამეტრებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტის შედეგები საგრძნობლად არის დაკავშირებული ქვეყნის ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სოციალურ მდგომარეობასთან.

აქვე მოვიყვანთ ტესტის მაგალითს:

ფსიქოლოგიური ტესტი (IQ)

1. სახელოსნოში 8 საათში აკეთებენ 320 სკამს. რამდენ სკამს გააკეთებენ 0,5 საათში?
2. პოლიციელი მოძრავ სამიზნეს ახვედრებს 20% სიზუსტით. რამდენჯერ უნდა გაისროლოს პოლიციელმა, რომ მოახვედროს 10-ჯერ?
3. ოჯახში ყველა დას ჰყავს იმდენი ძმა, რამდენიც და. ყოველ ძმას ჰყავს ორჯერ მეტი და, ვიდრე ძმა. რამდენი ძმას ოჯახში?
4. სამის ნამრავლს რაღაც როცხვზე რომ დავაკლოთ 7, მივიღებთ 32-ს. რას უდრის ამ როცხვის ორზე ნამრავლი?
5. ერთ ყუთში ორჯერ მეტი ბურთია, ვიდრე მეორეში. თუ პირველიდან გადავიტანთ მეორეში 5 ბურთს, ორივეში იქნება თანაბარი რაოდენობა. რამდენი ბურთია ორივეში?
6. გაშიფრეთ სიტყვები:

ხურიფთებ, კოიჰე, ათრთაკილუბ, კსტრეროი

7. იპოვეთ პირველი სიტყვის დასასრული და მერე სიტყვის დასაწყისი:

მარ (...) ყი

8. იპოვეთ საერთო დაბოლოება

ლად
ობ
ანც

(...)

9. იპოვეთ საერთო დასაწყისი

(.....)

სახვა
ქმნა
მავალი

10. გაშიფრეთ სიტყვები:

ჭავაჭვემა, ეთელეწირ, სვილთარუე, იჭაპაეძ

11. იპოვეთ კანონზომიერება და დაამთავრეთ მიმდევრობა

18, 20, 24, 32, ?


12. იპოვეთ კანონზომიერება და დაამთავრეთ მიმდევრობა

212, 179, 146, 113, ?

13. იპოვეთ კანონზომიერება და ჩასვით საჭირო რიცხვი

2	6	?	9
54	18	81	27


14. იპოვეთ კანონზომიერება და ჩასვით საჭირო რიცხვი




15. იპოვეთ კანონზომიერება და დაამთავრეთ მიმდინარეობა

6, 8, 10, 14, 14, ?


16. რომელი ფიგურა არ შეუთავსდება დანარჩენებს სიბრტყეზე ბრუნვით. დაასახელეთ ამ ფიგურის ნომერი.




17. რომელი ფიგურა არ შეუთავსდება დანარჩენებს სიბრტყეზე ბრუნვით. დაასახელეთ ამ ფიგურის ნომერი



18. რომელი ფიგურა არ შეუთავსდება დანარჩენებს სიბრტყეზე ბრუნვით.
დაასახელეთ ამ ფიგურის ნომერი



19. რომელი ფიგურა არ შეუთავსდება დანარჩენებს სიბრტყეზე ბრუნვით.
დაასახელეთ ამ ფიგურის ნომერი



20. რომელი ფიგურა არ შეუთავსდება დანარჩენებს სიბრტყეზე ბრუნვით.
დაასახელეთ ამ ფიგურის ნომერი



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бабин Б.Г., Калашников М.О., Лебедев А.Н., Носков В.А. Савченко В.И., Чумаков В.В. Методические рекомендации по психологическому отбору абитуриентов, М. 1995г.
2. Шулер Х., Отбор персонала, Иностранная психология, том 2, N 1(3), 1994г.
3. Hunter J.E., Hunter R.F., Validity and utility of alternative predictors of job performance, Psychological Bulletin, 96,1984.
4. Webster E.S. The employment interview, Schomberg, Ontario: SIP Publications, 1982.
5. Савицкий Н.Н., Биофизические основы кровообращения и клинические методы изучения гемодинамики, Ленмедгиз, 1963г.
6. Основные виды деятельности и психологическая пригодность к службе в системе органов ВД, под ред. Бовин Б.Г. Мягких Н.И., Софронова А.Д.

სტატია მიღებულია: 2005-04-14